საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №579

2012 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების (სსმ III ნაწ., 2008წ., №126, მუხ. 1282) პირველი პუნქტით დამტკიცებული ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის №1 დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) სიტყვები: „საქართველოს ენერგეტიკის“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების“;

ბ) პირველი ფუნქციის ტექსტში სიტყვები: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს გარემოს დაცვის“;

გ) მე-8 ფუნქციის ტექსტში:

გ.ა) სიტყვები: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით: „კომპეტენციის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო“;

გ.ბ) სიტყვები: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს“;

დ) მე-11 ფუნქციის ტექსტში:

დ.ა) სიტყვები: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით: „კომპეტენციის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო“;

დ.ბ) სიტყვები: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს“.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი